ტრენინგი საარჩევნო სუბიექტების (პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების) წარმომადგენლებისთვის

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და სწავლების ცენტრი აგრძელებს სასწავლო პროგრამის განხორციელებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2014 წლის არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის.

2014 წლის 28 მაისს, სასტუმროში ”ჰოლიდეი ინნ” გაიმართა ტრენინგი საარჩევნო სუბიექტების (პარტია/საარჩევნო ბლოკი) წარმომადგენლებისთვის. ტრენინგის ფარგლებში სწავლების ცენტრისა და ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლები მონაწილეებს გააცნეს საკანონმდებლო სიახლეები, კენჭისყრის დღის პროცედურები, საარჩევნო სუბიექტების უფლებრივ მდგომარეობა, საარჩევნო დავებთან და განცხადება/საჩივრებთან დაკავშირებულ საკითხებზე.